ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 7 დეკემბერი 1924 წ.

წელიწადი მეოთხე

ფასი 3 კაპ.

წითელი არმიელი

№ 668 1 და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა საველე ელ. 16

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც' ნომპარელის სტრიქონი სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

რეაქციის ახალი ტალღა ევროპაში.

გამარჯვებით დამთვრალი ესტონეთის ბურჟუაზია შეუდგა რევოლიუციონერების ფიზიკურად განადგურების საქმეს. სამხედრო საველე სასამართლო გამუდმებული მუშაობს და ზედი ზედ გამოაქვს სასიკვდილო განაჩენი.

ჯერ ჯერობით დახვრეტილია 44 მეამბოხე. მთელ ესტონეთში გრძელდება საშინელი რეპრესიები მუშების წინააღმდეგ. აპატიმრებენ ყველას, ვინც კი ოდნავად შემჩნეულია აჯანყების მონაწილეობაში.

ფაშიზმი კიდევ ერთხელ ზეიმობს თავის სისხლიან გამარჯვებას. და არა მარტო ესტონეთში. შავმა რეაქციამ თავი წამოჰყო მთელ ევროპაში. ყოველ დღე ჩვენ მოგვდის ცნობები „კომუნისტური მოძრაობის დევნის შესახებ. კვლავ ყველგან აამუშავა თავისი სახელმწიფო აპარატი ბურჟუაზიამ მუშათა კლასის და დაჩაგრულ ერების წინააღმდევ. სუდანის ისტორია, სპარსეთის საქმეებში ჩარევა, ინგლისის კონსერვატიული მთავრობის აშკარა იმპერიალისტური პოლიტიკა, კომპარტიის დევნა გერმანიაში, ესპანეთში, პოლონეთში, ბალკანეთში და ევროპის თითქმის ყველა კუთხეში, მოწმობენ მას, რომ ბურჟუაზიული რეაქცია გადავიდა შეტევაზე, რომ კვლავ ის ემუქრება ახალი გართულებებით და სისხლის ღვრით მთელ კაცობრიობას.

ყოველივე ეს გვიკარნახებს ჩვენ ფხიზლად უთვალთვალოთ ჩვენ მტრებს და მეტის ენერგიით განვაგრძოთ ჩვენი აღმშენებლობითი მუშაობა.

ადრე თუ გვიან ჩვენ მაინც მოგვიხდება იარაღით ხელში საბჭოთა რესპუბლიკების საზღვრების დაცვა.

ყოველ შემთხვევისათვის ჩვენ მზად უნდა ვიყოთ.

ეს ჭეშმარიტება სავსებით უნდა შეიგნოს და შეითვისოს ჩვენმა წითელ-არმიელმა და ყოველივე მუშაკმა წითელ ჯარის.

მეტის ენერგიით, მეტი გულდადებით ჩვენ უნდა მოვკიდოთ ხელი სამხედრო საქმის შესწავლას და წითელი ჯარის ბრძოლის უნარის ამაღლებას.

წითელ „არმიის სიძლიერე და სიმტკიცე კი არის ჩვენი დაუძლევლობის და გამარჯვების საუკეთესო გარანტია.

ფხიზლად უთვალთვალე მტერს და მედგრად იყავი თავის სადარაჯოზე!

კარგად დაიხსომე ეს, წითელ არმიელო!

ძველი მადა გაეხსნათ.

საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელის ამხ. კრასინის გამგზავრებით პარიზში, მალე დაიწყება ოფიციალური მოლაპარაკება საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირის შორის.

როგორც სჩანს ამ გარემოებას დიდათ აუღელვებია „პარიზის ბანკირები, რომლებიც დღესაც ოცნებობენ რუსეთში დაკარგულ კაპიტალის დაბრუნებაზე. დღემდის საფრანგეთის მტაცებლები შეიარაღებული ბრძოლის საშვალებით სცდილობდენ ჩვენ დამარცხებას და თავის სიმდიდრეთა დაბრუნებას.

არ გასჭრა ამ გზამ. ისინი იძულებული გახდენ ქედი მოეხრათ საბჭოთა კავშირის სიძლიერის წინაშე და ეცნოთ ის იურიდიულად, მაგრამ მადა გახსნილი ბურჟუები არც ახლა კარგავენ იმედს და „მშვიდობიანი" გზით სცდილობენ თავისი ოცნების განაღდებას.

ისე, როგორც ეს მათმა ინგლისელ მოძმეებმა ჩაიდინეს ინგლის-საბჭოთა მოლაპარაკების დროს, შეიყარეს თავი და დაადგინეს, რომ საბჭოთა კავშირმა უნდა აანაზღაუროს ფრანგ კაპიტალისტების ზარალი, რომელიც მათ ოქტომბრის რევოლიუციამ მიაყენა და გადაიხადოს მეფის ვალები. მარტო ამით არ კმაყოფილდებიან საფრანგეთის იმპერიალისტები. ისინი ადგენენ აგრეთვე, რათა მომავალ მოლაპარაკების დროს საბჭოთა კავშირს მოეთხოვოს თავის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა, რომელთა ძალით უზრუნველყოფილი იქნება კერძო საკუთრების ხელშეუხლებლობა და სხვა.

ერთი სიტყვით ასეთია ფრანგ კაპიტალისტების იმედები და ოცნება.

როგორც ვხედავთ ის ერთი და იგივეა, რაც დღემდის იყო.

ასეთი დაუგენილებებით საფრინგეთის იმპერიალიზმი კვლავ იხდის ნიღაბს და გვიჩვენებს თავის მტაცებლურ კბილებს. თავისი დემონსტრაციით ის ამ თავითვე მერყევ ნიადაგზე აყენებს მომავალ მოლაპარაკებას.

მაგრამ, ერთხელ და სამუდამოთ დაიმახსოვრონ მათ, რომ ყოველივე ასეთ მოთხოვნაზე ისინი მიიღებენ მტკიცე და ურყევ უარს.

დეე! რამდენიც უნდათ იმდენი იოცნებონ საფრანგეთის იმპერიალიზმის ონავრებმა (ოცნებობაზე ჩვენ მათ ხელს არ შეუშლით) მაგრამ იმპერიალისტური ოცნებების განაღდების უფლებას კი არ მივსცემთ.

საბჭოთა კავშირის მშრომელი ხალხი მტკიცედ სდგას თავის მონაპოვართა სადარაჯოზე და არავის ნებას არ მისცემს შინაურ საქმეებში ჩარევისა.

ჩვენ ამ თავითვე შეგვიძლია დავამშვიდოთ საფრანგეთის იმპერიალისტები, რომ მათი ოცნება ოცნებათ დარჩება.

უმჯობესია მათ ფრთები შეუკვეცონ თავის გაუმაძღრობას და უფრო საქმიანი ენით დაიწყონ ლაპარაკი.

ეს მეტ სარგებლობას მოუტანს მათ.

წინააღმდეგ შემთხვევაში ზარალში დარჩებიანი ისინი და არა ჩვენ.

კარგად დაიმახსოვრონ ეს მადა გახსნილ საფრანგეთის მტაცებლებმა!

—ი

„პრავდას" 500 ათასიანი ტირაჟი და მუშათა მოძრაობა.

რ. კ. პ. ცენტრალური ორგანო.

(ამხ. ზინოვიევის წერილი.)

ეს მხოლოდ დასაწყისია.

12 წლის უკან, როცა ლენინი და მისი მოწაფეები ადგენდენ პირველ ცნობებს პატარა „პრავდის" პირველი ნომრისათვის და სამ-სამჯერ უნდა შეეკეთებიათ ისინი, რათა ცენზურისთვის მისაღები ყოფილიყო, იმ დროს ვერც კი იფიქრებდა ვინმე, რომ „პრავდა" ასეთ კარიერას გააკეთებდა. 500.000 გაზეთის ტირაჟი—არც ცუდი დასაწყისია. მაგრამ ეს მაინც დასაწყისია. ჩვენი პარტიის დღევანდელ მოვლენის მიხედვით, „პრავდა"ს ტირაჟი უნდა გახდეს მილიონიანი.



ამხ. ზინოვიევი.
კომინტერნის თავმჯდომარე და რ. კ. პ. ერთ-ერთი ბელადთაგანი.

ილიჩის პარტია ღრმად შედის მასებში.

ლენინის გაწვევა, მუშკორებისა და სოფლკორების მოძრაობა, ჩვენი გაზეთების გავრცელება—ყოველივე ეს ერთი ჯაჭვის რგოლებია. ყველაფერი ეს მოწმობს იმას, რომ ჩვენი პარტია ღრმად იდგამს ფეხს მუშათა მასებში.

გაზეთ „პრავდას" 500000 ტირაჟი, კორესპონდენტების რიცხვი, რომელიც აღწევს 50.000-დი—ეს ღირს ზოგიერთ იურიდიულად ცნობად.

მუშათა კორესპონდენტების მოძრაობა კომუნისტური პარტიის მომავლის თავდებია.

რა არის „ბურჟუაზიული პრესის თავისუფლება."

ბურჟუაზიული პრესის თავისუფლებას მშვენივრად ახასიათებს ინგლისის არჩევნები და ცნობილი ზინოვიევის ყალბი წერილი. ბურჟუაზიული პრესა საუკეთესო საშუალებაა ხალხის მოსატყუილებლად.

პრესის ნამდვილი თავისუფლება.

მშრომელთა პარტიის თავისუფლების საუკეთესო დამახასიათებელია მუშკორებისა და სოფლკორების მოძრაობა, რომელთაც დიდი მომავალი აქვთ.

„პრავდას" ისტორია რევოლიუციის ისტორია არის.

როცა დაარსდა გაზ. „ისკრა", მასში მონაწილეობას ღებულობდა ათეული რევოლიუციონერი. ბოლშევიკურ არალეგალურ ყრილობაზე მონაწილეობდა რამოდენიმე ათეული რევოლიუციონერი, ხოლო როცა ლეგალური გაზეთი „პრადა" დაარსდა, მისი მომხრეები უკვე ასი ათასობით ითვლებოდა. 1917 წელს კი ბოლშევიკების მომხრეებად ითვლებოდა დიდძალი არმია პროლეტარიატისა.

ასეთია რევოლიუციონური მოძრაობის სვლა უკანასკნელ 20 წლის განმავლობაში.

ბურჟუაზია ვერ შეაჩერებს რევოლიუციონურ შეგნების ზრდას.

იაპონიიდან ესტონეთამდი, ეგვიპტიდან გერმანიამდი ყოველგან გაცხარებული ბრძოლაა კომუნიზმისათვის.

„ბურჟუაზიას შეუძლია ჯერ-ჯერობით ჯალათური წამება აწარმოოს, მაგრამ რევოლიუციონურ შეგნებისა და პროლეტარიატის გამარჯვების ზრდას ის ვერ შეაჩერებს"-ო—ასე სწერდა ლენინი.

„პრავდა" კომუნისტური გაზეთის იდეალია. მისი მნიშვნელობა თანდათან იზრდება და მთელი ქვეყნის კომუნისტური გაზეთების მისაბაძ მაგალითად ხდება.

უფრო ღრმად მასებში.

ჩვენთვის დიდად საჭიროა პოპულიარულად და გასაგებად გადაცემა აზრის. „პრავდამ" გამოაქვეყნა ამ დღეებში ლენინის წერილი რუსული ენის დამახინჯების წინააღმდეგ. ბოლშევიკად გახდომა ეს ნიშნავს მშრომელთა მასებში ღრმად შესვლას. ბოლშევიკობა უპირველეს ყოვლისა ნიშნავს მასოვიკობას. როცა უყურებ „პრავდის" მუშაობას, გინდა სთქვა: „აი სად შეიძლება გამოითქვას სურვილი უფრო ღრმად მასებში შესვლისა, უფრო და უფრო ღრმად მასებში!

ბრიტანეთის მთავრობამ გადასწყვიტა არ უპასუხოს რაკოვსკის ნოტაზე.

„მანჩესტერი გარდი ენის" კორესპონდენტის ცნობის თანახმად ბრიტანეთის მთავრობამ გადასწყვიტა არ უპასუხოს რაკოვსკის ნოტაზე, ვინაიდან ზედმეტად სთვლის იმის განმეორებას, რაც უკვე ითქვა ამის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრის ჩემბერლენის მიერ.

სომხეთის გასაბჭოების 4 წლის თავი.

ამხ. რიკოვის მოხსენება ამიერ-კავკასიის სტუდენტთა თანამესოფლეობის კრებაზე.

ამხ. რიკოვი აღნიშნავს, რომ მთელ ისტორიის გამსწრივ არ არის ისეთი ერი, რომელსაც ამდენი ტანჯვა და დევნა გადაეტანოს, როგორც სომხის ხალხს. ებრაელების დევნა, მათი დარბევა, კოლონიალურ ერთა განსაკუთრებული შევიწროება, ვერ შეედრება იმ ქლეტა-წამებას, რომელსაც აწარმოებდენ სომხეთის მიმართ სისტემატიურად.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ იხსნა სომხეთი ასეთ პირობებისაგან, რამაც საშუალება მისცა სომხის ხალხს ეკონომიურ და კულტურულ აღორძინების.

საბჭოთა ხელისუფლების ამოცანაა სომხეთის მაგალითზე ნათელყოს საბჭოთა სისტემის უპირატესობა მეფის-ბურჟუაზიულ მთავრობებთან შედარებით.

საბჭოთა სომხეთი—საბჭოთა კავშირის მოწინავე სადარაჯოა, ამიტომ ჩვენ გვმართებს მეტი სიფრთხილე თავის მოქმედებაში. საბჭოთა სომხეთის აღმშენებლობა საუკეთესო აგიტაცია ჩვენდა სასარგებლოდ მთელ აღმოსავლეთის შევიწროებულ და დაჩაგრულ ხალხთა თვალში.

შემდეგ, ამხ. რიკოვი გადადის საბჭოთა კავშირის და ინგლის შორის ჩამოვარდნილ უთანხმოებაზე და აღნიშნავს, რომ მიზეზი ამ უთანხმოების ჩვენ უნდა ვეძიოთ არა ზინოვიევის ყალბ წერილში, არამედ საბჭოთა მთავრობის ნაციონალურ პოლიტიკის თვისებებში.

საბჭოთა მთავრობის ნაციონალური პოლიტიკა ჭეშმარიტათ მიმართულია ყველა მცირე ერთა სრულ თავისუფლების და დამოუკიდებლობისაკენ, რაც გამომდინარეობს საბჭოთა ხელისუფლების თვით ბუნებისაგან. ეს გარემოება ძლიერ აფრთხობს ინგლისის კონსერვატორულ მთავრობას, რომლის სისტემა ნაციონალურ პო-

ლიტიკაში ძარიანად განსხვავდება საბჭოთა სისტემისაგან. ინგლისის კოლონიალური ერები ნათლად ხედავენ თუ რა პირობებში იმყოფებიან საბჭოთა კავშირის საზღვრებში მოქცეული ერები, რაც ბუნებრივად იწვევს მათში ინგლისის ბატონებისაგან განთავისუფლების სურვილს.

და აქ უნდა ვეძიოთ ჩვენ მიზეზები ინგლის და საბჭოთა კავშირის შორის არსებულ უთანხმოებისა.

შემდეგ ამხ. რიკოვი აღნიშნავს თუ რა **საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს სომხეთის აღორძინებას**, როგორც ჩვენს ხელშეკრულებას ჩინეთთან ისე ურთიერთობას თურქესტანთან, რომლებსაც გაფაციცებით თვალყურს ადევნებს მრავალ ას მილიონიანი აღმოსავლეთის ხალხი.

უთანხმოება ინგლის-ეგვიპტის შორის.

ეგვიპტეს პარლამენტის პროტესტის განხილვა ოსმალეთის მეჯლისში.

ოსმალეთის მეჯლისის (პარლამენტი) განსაკუთრებულ სხდომაზე მოსმენილ იქნა ეგვიპტეს პარლამენტის პროტესტი ეგვიპტეში ინგლისის მოქმედების გამო.

დეპუტატმა აგაევმა თავის ვრცელ სიტყვაში აღნიშნა ეგვიპტეში შექმნილი აუტანელი პირობები და მოაგონა კრებას ახლო წარსულიდან ინგლისის ცდები, მიმართული ოსმალეთის შეიარაღებულ ძალით განადგურებისაკენ. ბევრი ოსმალეთის სახელმწიფო მოღვაწეები და დღევანდელი მინისტრები, ამბობს აგაევი, წლობით იტანჯებოდენ კუნძულ მალტაზე ინგლისელების უღლის ქვეშ. ინგლისელების მოქმედება ეგვიპტეში არღვევს საერთაშორისო პოლიტიკურ წონასწორობას, დასასრულ აგაევმა წინადადება შეიტანა ეგვიპტეს პარლამენტის პროტესტზე მეჯლის გამოეთქვა თავის აღშფოთება ეგვიპტეში ინგლისელთა მოქმედების გამო.

პრემიერი ფეთხი-ბეი აღნიშნავს, რომ აგაევი გამოთქვამს პირად გრძნობებს და მთავრობას არ შეუძლია დაეთანხმოს მას, რადგან მისი სურვილია იყოს კეთილ განწყობილებაში ინგლისთან ფეთხი-ბეის წინადადება, მორიგ საკითხებზე გადასვლის შესახებ, მიღებული იქნა.

მემამულეთა პოლონეთში.

სიტყვა სხვაა საქმე სხვაა.

ვიცე პრემიერი ტუგუტი, რომელმაც იკისრა საკითხების გადაჭრა აღმოსავლეთ განაპირა ადგილებში, აწესებს განაპირა ადგილების საბჭოს ბელორუსიისა და უკრაინის დეპუტატების მონაწილეობით. საბჭოს ექნება სათათბირო, და არა გადამჭრელი ხასიათი.

ბელორუსიის დეპუტატმა ტარაშკევიჩმა სეიმში განაცხადა, რომ აგრარულ რეფორმების ნაცვლად განაპირა ადგილებში გრძელდება სამხედრო გადასახლებულთა კოლონიზაცია.

„სამხედრო ჩასახლებულთა კარმიდამოებში—განაცხადა ტარაშკევიჩმა—მალე გაჩაღდება და გაანათებს ცეცხლი“.

შემთანხმებლები ხელს უშლიან.

ლოძის მოსალოდნელი გაფიცვები ჩაშლილ იქნა შემთანხმებლების წყალობით. მთავრობის წინადადებით დაარსებულ იქნა სამედიატორო კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს მუშათა მოთხოვნილებები.

როგორ სჯიან გლეხებს.

საველე სასამართლოს დადგენილებით, როვნოში დახვრეტილ იქნა როვნოს მაზრის გლეხი კალუჟნი, რომელსაც ბრალი ედებოდა პარტიზანულ მოძრაობაში მონაწილეობის მიღებაში.

პაშიჩის მთავრობის ოპოზიცია.

სამხრეთ-სლავიის ოპოზიციონურ პარტიების ბელადებს განზრახული აქვთ მოიწვიონ საერთო კონფერენცია, რომელზედაც უნდა გამოიმუშავონ ზომები დევნის წინააღმდეგ.

ესტონეთში რეპრესიები გრძელდება.

რეველში სამხედრო-საველე სასამართლოს სხდომები გრძელდება. გამოტანილია კიდევ 17 სიკვდილით დასჯის განაჩენი.

დღემდე დახვრეტილთა რაოდენობა 44 კაცს უდრის.

გუშინ პარლამენტის თავმჯდომარესთან შესდგა მთავრობის, მთავარ-სარდლობის და პარლამენტის ფრაქციათა წარმომადგენლების სასწრაფო სხდომა.

განხილულ იქნა აჯანყებასთან დაკავშირებით შექმნილი მდგომარეობა. საგარეო საქმეთა მინისტრის საინფორმაციო განყოფილების გამგე, რომელსაც დაკისრებული აქვს დიდმნიშვნელოვანი დიპლომატიური დავალებანი სასწრაფოდ გაემგზავრა პარიზში.

4 დეკემბერს დაასაფლავეს აჯანყების მსხვერპლნი.

შესდგა „მთლიან ფრონტის ორგანიზაციის“ სხდომა, რომელშიდაც შედიან ყველა პოლიტიკური მიმდინარეობანი სოციალ-დემოკრატებიდან აგრარიებამდე. სხდომა მოეწყო დაღუპულთა ხსოვნის აღსანიშნავად. თავმჯდომარეს წინადადება შეაქვს ფეხზე ადგომით პატივი სცენ დაღუპულთა ხსოვნას. სხდომაზე მყოფი სახელმწიფო სათათბიროს წევრი რაიზენი არ დგება, რისთვისაც მას იმავე წუთში ატუსალებენ—აგზავნიან ციხეში.

მომუშავეთა დაგზავნა სოფლად.

ეკატერინოსლავის მუშკომმა სოფლად მუშაობის გაძლიერებლად დაადგინა საჩქაროდ გააგზავნოს სოფლად 100 პარტიული მომუშავე სამი თვის ვადით.

ხალხის ჯალათები რევოლიუციონურ-მართლმსაჯულების წინაშე

ბოქაული მახარაძისა, კედიასი და სხვების საქმე

გასამართლება დაიწყო

5 დეკემბერს, 1 საათზე ჭიათურაში სასამართლო ღია კარებში შეუდგა ყოფილ ბოქაულ მახარაძის, კედიასი და სხვა შავრაზმელების საქმის გარჩევას.

სასამართლოს თავმჯდომარეობს ამხ. **კაჭარავა**. წევრებათ არიან: ამხ. **ჭეიშვილი** და **მაჭარაშვილი**.

დამნაშავეთ ბრალს სდებს ამხ. **სანებლიძე**.

საზოგადო ბრალმდებლად გამოდის ამხ. **შარიქაძე**.

ბოქაულ მახარაძესა და კედიას იცავს დამცველთა კოლეგიის წევრი **ღვამიჩავა**, დანარჩენ ბრალდებულთ **ბერიძე** და **ყარალაშვილი**.

სასამართლოს მიერ გამოწვეულია 120 მოწმე.

დამცველი ღვამიჩავა სასამართლოს წინაშე შუამდგომლობს დამატებით გამოწვეულ იქნან შემდეგი მოწმეები:

ამხ. ამხ. **შამშე ლეჟავა, თენგიზ ჟღენტი, ივან**
გომართელი და აჭარის სახალხო კომისართა საბჭო
თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ქავთარაძე.

დამცველ ღვამიჩავას შუამდგომლობა სასამართლომ და
კმაყოფილა.

სასამართლოს თავმჯდომარემ წაიკითხა საბრალმდებლ
ოქმი.

ბრალდებულნი თავს დამნაშავედ არ სცნობენ.

დაიწყო მოწმეების დაკითხვა.

სასამართლოს დარბაზს აუარებელი ხალხი მოაწყდა.

სტეფანე რადიჩი.

ხორვატიის ძლიერ გლეხთა პარტიის ბელადი. ის რამოდენიმე თვის წინეთ ეწვია საბჭოთა კავშირს, სადაც მონაწილეობას ღებულობდა გლეხთა ინტერნაციონალის მუშაობაში, რომლის ერთად-ერთი აქტიურ წევრთაგანია ხორვატების გლეხთა პარტია.

რადიჩი ებრძვის სამხრეთ-სლავიის რეაქციას, რომლის მეთაური დღეს სამხრეთ-სლავიის მთავრობის თავმჯდომარე პაშიჩია. რადიჩი ამ ჟამად შვეიცარიაში იმყოფება, საიდანაც ხელმძღვანელობს ოპოზიციას პაშიჩის მთავრობის წინააღმდეგ.



კიდევ ატუსალებენ.

რეველის გაზეთების ცნობით რეპრესიები—დატუსალებ
კიდევ გრძელდება. იტყობინებიან, რომ კომუნისტების მთა
ვარი ბინა იყო ქალაქის ცენტრში, ხოლო კონსპირატიულ
ბინები ქონდათ ქალაქის განაპირა ადგილებში, სადაც ღამი
1 დეკემბერს სწარმოებდა აჯანყების უკანასკნელი მზადებ
ირკვევა, რომ რეველში აჯანყებასთან ერთად განზრახულ
იყო ვაზულას რკინის გზის ხიდის აფეთქება, რომელიც და
შორებულია იურიევიდან ხუთი ვერსით.

ესტონეთის პრეზიდენტი, ექიმი აკკელი, რომელსა
თავს დაესხენ აჯანყებულები ავათაა, ექიმების აზრით ავად
მყოფობის მიზეზია ნერვების აშლა უკანასკნელ ამბების ნია
დაგზე.

განაჩენის გასაჩივრება არ სურთ.

149-თა საქმის გამო მისჯილ კომუნისტების უმრავლე
სობა უარს ამბობს განაჩენის გასაჩივრებაზე.

ფაშისტების ახალი ორგანიზაცია

უკანასკნელ ამბებთან დაკავშირებით რეველში დაარსდ
ფაშისტების „თავდაცვის ლიგა“, რომელიც შეუდგება მუშა
ობას თუ კომუნისტებთან ბრძოლაში ხელის-უფლება უძლურ
გამოდგა.

საბჭოთა კავშ. კონსული პარიზში.

საბჭოთა კავშირის მთავარი კონსული აუსენი, რომელიც დანიშნულია საფრანგეთში, უკვე გაემგზავრა პარიზში.

კავშირის საჭიროება მასწავლებელ და პოლიტხელის შორის.

პოლიტ-ხელის და მასწავლებლის დანიშნულება ჯარში.

როგორც პოლიტხელი, ისე მასწავლებელი უკვე შეუდგენ ახალწვეულებთან მეცადინეობას, ამისათვის დროულათ მიგვაჩნია ვსთქვათ კიდევ ორიოდე სიტყვა ჯარში ამ ორ კატეგორიის მუშაკთა ერთმანეთთან დაახლოების, მათ შორის მჭიდრო კავშირის დამყარების შესახებ.

უპირველესათ ყოვლისა უნდა ითქვას, რომ როგორც ერთის, ისე მეორის მოვალეობა მეტათ რთული და საპასუხისმგებლოა; მისვლა ახალწვეულ წითელ არმიელებთან, მათთან მოხერხებულათ დაახლოება, თვითეული მათგანის სულიერი განწყობილების გაცნობა, მათთან ყოველდღე მიზანშეწონილი და მისაწდომი მეცადინეობის ჩატარება როგორც ერთისთვის ისე მეორესთვის არც თუ ასე იოლი საქმეა. აქ გარდა ცოდნისა, აუცილებელი საჭიროა პედაგოგიური და მეთოდიური ხერხი; მასთან გასვლის მეტი სიფრთხილით შერჩევა, რომ ყოველდღიური მეცადინეობა ამ მუშაკების მომაბეზრებელი არ იქნეს სრულიად ახალ გარემოსა და პირობებში მყოფ ახალგაზრდა წითელ არმიელთათვის. ამ თავითვე შეცდომით გადადგმული ნაბიჯები, უსათუოდ ცუდ შედეგს მოგვცემენ, ამისათვის როგორც პოლიტხელის ისე მასწავლებლის მთავარი ყურადღება ამ მხრივ უნდა იქნას მიპყრობილი. ორივე იმის ცდაში და მეცადინეობაში უნდა იყოს გართული, რომ რაც შეიძლება ყოველდღიურ გაკვეთილი საინტერესო და მისაწვდომი იყოს წითელ-არმიელთა აუდიტორიისათვის და რაც უფრო მოუმზადებელია ეს აუდიტორია, იმდენათ მეტი მასალის შერჩევაა საჭირო.

რას უნდა მიექცეს უმთავრესი ყურადღება?

სამეცადინო საგნის შინაარს და მის მოხერხებულათ და ინტერესიანათ გადაცემას.

როგორი უნდა იყოს შინაარსი პოლიტსაათის პირველ გაკვეთილების? უსათუოთ უბრალო, მარტივი და გასაგები ენით გადაცემული.

თუ ჩვენ ამ თავითვე დავუწყეთ საუბარი პარტიებზე, ინტერნაციონალებზე და სხვა ახალწვეულ წითელ არმიელთ, რომლებმაც ჯერ პოლიტიკაში არც ანი იციან და არც ბანი, ცხადია სასურველ შედეგს ვერ მივაღწევთ; და სამწუხაროთ, შემჩნეულიცაა, რომ ზოგიერთი პოლიტ-მუშაკი არ უწევს ანგარიშს თავის აუდიტორიის პოლიტიკურ ცოდნის ავლადიდებას, უმეტეს შემთხვევაში წინასწარ შეუმუშავებელ გეგმით აწარმოებს მუშაობას, როგორც მოუხდებათ ისე ჩაატარებენ პოლიტსაათს; მეცადინეობას ჯერ კიდევ შეუჩვეველ წითელ არმიელი, რომელთა პოლიტიკურ სიტყვათა ლექსიკონი ძალზე ღარიბია, ახვევენ უცხო სიტყვათა კორიანტელში.

ასეთი „მეცადინეობა“ მხოლოდ ზიანს მოუტანს მსმენელებს' და პოლიტ-ხელი ნაყოფიერ მუშაობის მაგიერ მიიღებს შედეგით მოწყენილ აუდიტორიას, რომელთაგან ბევრი ამთქნარებს, ზანტად იზმორება, ძილიც ეპარება, ზოგს ყურები აქვს აცქვეტილი, ელის როდის იქნება გაკვეთილის გათავების სიგნალი, რომ განთავისუფლდეს მომაბეზრებელ მდგომარეობიდან.

პოლიტ-ხელი ასეთი მუშაობით თავის ცოდნას გააცნობს წითელ-არმიელებს თორემ სხვა ნაყოფს ვერას მიიღებს,

რასაკვირველია, ეს შენიშვნა არ ვრცელდება ყველა პოლიტ
ხელებზე, არამედ ზოგიერთებზე
ეს არა სასიამოვნო მოვლენ
არც თუ ისე დიდ დანაშაულ
ბათ უნდა ჩაეთვალოს პო
ლიტ-ხელებს, რადგანაც ვი
არ იცის, რომ ისინი პედაგო
გიურათ და მეთოდიურათ მო
ხერხებულათ გადაცემის მხრი
მეტათ მოისუსტებენ.

შეიძლება პოლიტხელი პო
ლიტიკურად კარგი მომზადე
ბული იყოს, ზეპირად იცოდე
მარქსიზმი, ლენინიზმი და სხვ
მაგრამ წითელ არმიელებთა
სანახევროთაც ვერ აღწევდნ
მიზანს.

ვინ უნდა გაუწიოს ამ შე
თხვევაში პოლიტხელს დახმა
რება?

უსათუოდ მასწავლებელმ
და ის ამას კიდევაც შესძლებ
თუ პროფესიონალია და ესმი
ჯარში მუშაობის წარმოები
წესი.

ხდებოდა ასე დღემდე? სამ
წუხაროთ არა. ამდენ ხანს არ
კი ემჩნეოდა თუ ამ ორ მუშაკ
შორის რაიმე იყო საერთო
ერთსა და იმავე ნაწილში თა
ნამშრომლობდენ, ერთსა დ
იმავე აუდიტორიასთან ქონ
დათ საქმე და წარმოიდგინე
ხშირათ ერთმანეთს არც
იცნობდენ.

ლ. მ—ი.

(დასასრული შემდეგში.)

ჩვენს წითელ ჯარში

რად შეგვიწყვიტეთ სანიტარული საათები.

პირველ ლეგიონის სამნეოგუნდში თითქმის თვე ნახევარი იქნება რაც შეგვიწყვიტეს სანიტარული საათები. მანამდე კი სისტემატიურად ტარდებოდა კვირაში ერთხელ.

რაშია საქმე, რად ველარ ვხედავთ ექიმს? ეს საათი სხვა საგნებზე ნაკლებათ არ აინტერესებს არმიელებს, და მათთვის აუცილებელი საჭიროა იცოდენ თუ რა ზიანის მოტანა შეუძლია სხვა და სხვა ავათმყოფობას, და რა გზით შეიძლება, რომ ისინი თავიდან აიცდინოს ადამიანმა.

საკმარისი არ არის მარტო დეზინტერიაზე და მალარიის გამომწვევ მიზეზებზე შეჩერება, სხვა ავათმყოფობის შესახებაც უნდა გვითხრან რაიმე, როგორიცაა, მაგალითად, ვენერიული ავათმყოფობანი და სხვა.

კარგი იქნებოდა, რომ ჩვენს ექიმებს გული არ აეცურებიათ ამ მუშაობაზე და განეგრძოთ ისე, როგორც მიმდინარეობდა წარსულში, რომ ყოველივე ავადმყოფობის გამომწვევ მიზეზებზე ზერელე წარმოდგენა მაინც გვექნეს წითელ არმიელებს.

წით. მოლ. **გ. მარღიშვილი.**

ხელი შეუწყოთ წითელ მასწავლებლებს.

უკვე ერთი კვირაა, რაც ცხენოსან ლეგიონში დაიწყო მეცადინეობა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოდ.

წითელი მასწავლებლები ძლიერ ენერგიულად ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას, მაგრამ თუ ჩვენც არ შეუწყვეთ ხელი, ანგარიში არ გაუწიეთ მათ ამ ფრიად დიდი საქმის ნაყოფიერად ჩატარება აუცილებლად დაბრკოლდება.

საქმე იმაშია, რომ ამხ. მასწავლებლები არ არიან განთავისუფლებული ყაზარმის წმენდაში განწესებიდან („უბორკიდან“). მასწავლებლებმა აღძრეს ამის შესახებ სათანადო შუამდგომლობა, რომ თუ სრულიად შეუძლებელი იქნებოდა მათი განთავისუფლება, დილის და შუადღის წმენდაში განწესებიდან მაინც მოეხსნათ ისინი, მაგრამ ჯერ-ჯერობით ამის შესახებ არაფერი ისმის.

საჭიროა ამხ. მასწავლებლების მოთხოვნილება დაკმაყოფილებული იქნეს დაჩქარებით, თუ გვინდა, რომ უფრო ნაყოფიერი შეიქნეს მათი მუშაობა.

სამხკორი **დ. ზეფრაშვილი.**

ექსკურსია ბოტანიკურ ბაღში.

მეექვსე ტერ-ლეგიონი

ოთხი დეკემბერი მშვენიერი დღე გათენდა. ვემზადებით ბოტანიკურ ბაღში წასასვლელად. დავეწყვეთ. გაიცა სათანადო ბრძანება და მხიარულად გავეშურეთ ბაღისაკენ. ჩვენთან არიან თითქმის ყველა უფროსები და მასწავლებლები. ჯერ კიდევ ნოემბრის თვის შუა რიცხვებში ვფიქრობდით ხსენებულ ბაღის დათვალიერებას, მაგრამ ვერ მოვახერხეთ.

ეხლა არმიელები მეტის-მეტად გახარებული არიან, რომ როგორც იქნა მოესწრენ ბაღში გამგზავრებას.

გზაში შამოვსძახეთ სიმღერა, რომელიც იქ მისვლამდე არ შეწყნარებულა.

ბაღში კარგად მიგვიღეს. გვერდში დაგვყვებოდენ მებაღეები და გვიხსნიდენ ყველა საინტერესო მცენარეებსა და სხვათა შესახებ.

განსაკუთრებით ძლიერ გააკვირვა წითელ არმიელები ფერადი თევზების ნახვამ.

ავედით მაღლა-ძველ ნანგრევებზე და გადმოვხედეთ თბილისს.

ამხ. ზაუტაშვილმა აქვე მოაწყო საუბარი თბილისის ისტორიიდან.

გულდასმით უსმენდენ ამხანაგები ჩვენი დედა-ქალაქის წარსულიდან მრავალ საინტერესო ამბებს. საინტერესო იყო მისი მოსმენა განსაკუთრებით აქ, ნანგრევებზე, სადაც მრავალჯერ გადაწყვეტილა თბილისის ბედი.

ექსკურსია ძლიერ ნაყოფიერი შეიქმნა და დიდათ ნასიამოვნები გავეშურეთ ჩვენი ყაზარმებისაკენ.

სამხკორი **ესმაშვილი.**

ჩაისთვის წყალს არ გვიდუღებენ.

პირველ ლეგიონში, რამდენიმე ხანია, რაც ჩაისთვის წყალი აღარ დუღდება. ნეტა რა დავაშავეთ?

რად გვინდა ჩაი და შაქარი, თუ წყალს არ მოგვცემენ?

ლეგიონის ფურნის წინ სდგას სამზარეულოები, რომლებშიდაც ცხელდება წყალი პურისთვის.

ეს წყალი მხოლოდ ცხელია და არა ადუღებული. წითელ არმიელები შამოეხვევიან ამ სამზარეულოებს და იქედან მიაქვთ ჩაისთვის აუდუღარი წყალი.

პურის მცხობელები ვერ იგერიებენ არმიელებს.

მიკვირს რად არ აქცევენ ამ გარემოებას ყურადღებას. რა მიზეზია, რომ წყალს არ გვიდუღებენ სხვა, რომ არა იყოს რა, აუდუღარი წყალი ცუდ საქმეს იზამს. დაავადმყოფებს ჩვენს მოლაშქრეებს.

მოგვეცით ადუღებული წყალი.

წ.-არ. **ბეთლეველი.**

მოხსენება ინტერნაციონალებზე.

2 დეკემბერს ქართ. მეთაურთა სკოლაში შესდგა მეორე ასეულის შემადგენლობის საერთო კრება. კრებამ მოისმინა მხ. ამხ. ჩაჩანიძის და სოხაძის კოლექტიური მოხსენება სამივე ინტერნაციონალების შესახებ.

მოხსენება მეტად შინაარსიანი იყო. ამხ. საკმაოდ მომზადებულები აღმოჩნდენ. დაიწყეს პირველი ინტერნაციონალის ჩასახვიდან, რომლის ხელმძღვანელობა ისტორიამ კარლ მარქსსა და ფ. ენგელსს არგუნა. აღნიშნეს მისი მიზანი და ის, თუ როგორ გზაზე დააყენა ეს პირველი საერთაშორისო მუშათა ორგანიზაცია კ. მარქსმა.

შემდეგ შეეხენ მეორე ინტერნაციონალს, მის მოღალატურ პოლიტიკას მსოფლიო მუშათა კლასის ინტერესებისადმი.

მეორე ინტერნაციონალის მესვეურების გამცემლობამ გამოიწვია მესამე ინტერნაციონალის დაარსება სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების მიერ, რომელიც ჭეშმარიტი ხელმძღვანელი შეიქნა მსოფლიო მუშათა რევოლიუციონური მოძრაობის და პირველი ინტერნაციონალის ნამდვილი მემკვიდრე. მესამე ინტერნაციონალმა განავრძო მარქსის მიერ ნაჩვენები გზით სიარული და თანდათან იკრებს თავის გარშემო მსოფლიო მუშათა კლასის ყველაზე უფრო რევოლიუციონურ რიგებს, და შორს არ არის ის დრო, როდესაც მისი ხელმძღვანელობით მთელ მსოფლიოზე აფრიალდება კომუნიზმის წითელი დროშა.

ასე დაათავეს მოხსენება ამხანაგებმა.

მოხსენებას დიდი ინტერესით უსმენდენ ახლად შამოსული კურსანტები, რომლებიც გაურკვეველი იყვნენ ინტერნაციონალის საკითხში.

სამხკორი **მ—ია.**

მეორე საარტ. დივიზიონის ცხოვრებიდან.

ლენინის კუთხეები.

ჩვენს დივიზიონში ლენინის კუთხეები კარგად არის მოწყობილი. არმიელებს ძლიერ იზიდავს, როგორც კუთხეების გარეგნული სილამაზე, ისე მათში წარმოებული მუშაობა.

ერთად ერთი ადგილი სადაც თავს იყრიან დივიზიონის არმიელები, კითხულობენ, ისმენენ სხვა და სხვა ხასიათის საუბრებს და მოხსენებებს, ეს ლენინის კუთხეა.

კუთხეებში ვაწყობთ პოლიტლატარეიებს, ლიტერატურულ გასამართლებებს და სხვა. ერთი სიტყვით არმიელები ყოველ მხრივად არიან დაკავშირებული კუთხეებთან.

პოლიტ-საათები.

პოლიტ-საათებიც ტარდებიან წინასწარ დამზადებული გეგმის მიხედვით. იმდენად აინტერესებს არმიელებს პოლიტ-საათები, რომ მეცადინეობის შემდეგ, ხშირად მართავენ ბაასს იქ გარჩეულ პოლიტიკური საკითხების გარშემო.

მეცადინეობას ესწრებიან ყველა, პოლიტ საათების შეთვისება—საშვალოზე მეტია.

სანიტარული მდგომარეობა.

დივიზიონში სანიტარული მდგომარეობა კარგია. სისუფთავე და წესრიგი ზედმიწევნით არის დაცული. თითეულ წითელ-არმიელს კარგად ესმის სისუფთავის მნიშვნელობა. ყაზარმაში პაპიროსის მოწევა აკრძალული აქვთ. „ნუ დაიზარებ ამხანაგო, მიბრძანდი და გარედ მოსწიე“.

აი როგორ მიმართავენ, თუ ვინმეს შესცდა და ყაზარმაში დააპირა პაპიროსის მოწევა.

საკლუბო მუშაობა.

საკლუბო მუშაობა კარგ კალაპოტშია ჩაყენებული. წრეებში სისტემატიურად სწარმოებს მეცადინეობა ლაბორატორიულ მეთოდით. ბიბლიოთეკაც თავის სიმაღლეზე სდგას და შეძლებისდაგვარად ხელს უწყობს წრეების მუშაობას.

ამასთანავე დაახლოებული ვართ ადგილობრივ მუშათა ორგანიზაციებთან. ხშირად ხდება გაერთიანებული კრებები მუშებთან. ამ რამოდენიმე დღის წინად ამხ. მუშებმა დაგვასაჩუქრეს 4.000 ცალი პაპიროსით.

დივიზიონს აქვს აგრეთვე საკუთარი კედლის გაზეთი, რომელიც სისტემატიურად გამოდის კვირაში ერთჯერ. ხშირად ვაწყობთ ექსკურსიებს და სხვა.

საერთოდ დივიზიონი ყოველ მხრივად დაკმაყოფილებულია.

სამხკორი გან—ბანი

ჩვენი ასეულის ლენინის კუთხე.

პირველ ლეგიონის მეორე ასეულის ლენინის კუთხე მშვენივრად არის მოწყობილი. კუთხეს მეტად ენერგიული და თავისი საქმით დაინტერესებული ხელმძღვანელი ყავს. შეხვალთ თუ არა შიგ წამსვე შეამჩნევთ, რომ იქ კარგი მზრუნველის ხელი ტრიალებს.

ყაზარმაში მოუხერხებელი შეიქნა კუთხისთვის ცალკე ოთახის გამოყოფა, ამისთვის ამორჩეული იქნა ერთი მოხერხებული კედელი, გადაიყო ფიცრულის კედლით და მოეწყო ლენინის კუთხე-

როდესაც კუთხეში შედიხართ პირველად თვალში გეცემათ ლენინის და ტროცკის ბიუსტები, რომლებიც მოთავსებული არიან სპეციალურად ამისთვის გაკეთებულ კვარცხლბეკზე. კვარცხლბეკის კიბეები დაფარულია წითელი ქაღალდებით. ბიუსტები მორთული არიან შესაფერისად.

მარცხნივ მეორე კედელზე ჩამწკრივებულია რუსეთის და და საქართველოს კომუნისტ, პარტიის ბელადების სურათები.

ბიუსტებს წინ უდგას ტროპიული მცენარეები და უფრო ალამაზებს მათ.

ყველაფერი ეს მოაწყო ასეულის ხარჯით-ოდნავი დახმარება არ მოუცია ჩვენთვის კლუბს.

წითელ-არმიელები დიდი მზრუნველობით დასტრიალებენ თავზე თავიანთ ძვირფას კუთხეს.

კუთხეში აკრძალულია ხმა მაღლა ლაპარაკი, პაპიროსის მოწევა და სხვა. ასეულის მთელი შემადგენლობა ყოველთვიურად იღებს თავის ჯამაგირებიდან განსაზღვრულ თანხას კუთხის გაუმჯობესებისათვის.

უსურვებთ ჩვენ არმიელებს კიდევ უფრო პატივისცემით და სიყვარულით მოეპყრობოდენ თავიანთ წითელ კუთხეს.

ბზიკი.

ამხ. დ. კოსტავას საპასუხოდ.

ქართ. დივიზიის ლაზარეთის ყველა ავადმყოფ წით. არმიელებს შორის დიდი აღშფოთება გამოიწვია გაზ. „წითელ არმიელის“ № 662-ში მოთავსებულ ამხ. კოსტავას წერილმა „ექიმის თანაშემწე უნდა გამოსწორდეს“.

წერილის ავტორი უსირცხვილოდ ცილს სწამებს ექიმის თანაშემწე ამხ. ჟდანოვს, ვითომდა ცუდ-ყოფა ქცევაში.

ჩვენ, ლაზარეთის ავადმყოფი წითელ არმიელები, ვაცხადებთ, რომ დ. კოსტავას წერილი, აშკარა პირადი ინტერესებით არის გამოწვეული. ექიმის თანაშემწე ამხ. ჟდანოვი, ერთი სამაგალითოდ უნდა ჩაითვალოს თავის მოვალეობის პირნათლად ასრულებაში. ძველი, გამოცდილი, თავისი

ქართულ მეთაურთა სკოლა.

სამხედრო საქმე (სამწყობრო)

ჩვენი მუშაობა სამხედრო დარგში უნდა ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად. მართალია წყობილება ყოველ დღე იცვლება (ეს ახალ გაზ. მეთ. არ გაუკვირდება) მაგრამ ამას ჩვენ საუცხოვოდ ვითვისებთ. მწყობრივი მეცადინეობაა დღეში ორი საათით, დანარჩენი ორი საათი კი ან კავშირის ან ტყვიამფრქვევის საქმეა. ვსწავლობთ ორი სისტემის ტყვიამფრქვევს „მაქსიმის“ და „ლუისის“ გავდივართ დეტალურად: დაშლა—აწყობას, მისი ნაწილების აღწერას, ყველა მისი შეჩერებების მიზეზებს და ურთიერთ მოქმედებას. ლექტორებიც კარგი ყავს ყველა კურსებს.

სამოსწავლო ნაწილში.

როგორც სამხედრო სამწყობრო საქმეს აგრეთვე სამოსწავლო (ლაბარატორიული მეთოდი) ნაწილსაც აქვს დათმობილი დღეში ოთხი საათი. მეცადინეობა იწყება ლაბორატორიებში ხან 12 საათზე ხან კი დილით, ვინაიდან მთელ სკოლას ლაბარატორიები არ ყოფნის—ამისათვის დაყოფილია ორ ნაწილად, ნახევარი დილით მეცადინეობს, ნახევარი შემდეგ 12 საათიდან. სამოსწავლო ნაწილშიც უმთავრესი ყურადღება აქვს მიქცეული სამხედრო საგნებს, როგორიც არის ტაქტიკა, ტოპოგრაფია, საინჟინერო საქმე, (კავშირი) არტილერია და ადმინისტრაცია.

ხსენებულ საგნების შესასწავლად სახელმძღვანელოებიც არის, მხოლოდ არტილერია და ადმინისტრაციაში არ არის საკმარისი სახელმძღვანელოები, რაც ძლიერ ხელს უშლის საგნების შესწავლას, მაგრამ დღეს თუ ხვალ ამასაც მივიღებთ. საერთოდ მოცემულ გაკვეთილების შესწავლა სწარმოებს ჯგუფებათ.

საკლუბო მუშაობა.

კლუბიც თავის მხრივ დიდ მუშაობას აწარმოებს საერთოდ კურსანტების გათვითცნობიერების საქმეში. კლუბს ყავს საბჭო, რომელშიც შედის რამოდენიმე ამხანაგი, რომლებიც მიმაგრებულია სხვა და სხვა წრეებზე.

კლუბს აქვს დაარსებული შემდეგი წრეები:

ტაკტიკის წრე, ლიტ-წრე, დრამ-წრე, სამხატვრო წრე და მომღერალთა წრე.

კავშირის სკოლა.

კავშირის ბიურო-კოლექტივის მიერ არის დაარსებული ყველა ასეულებში და განყოფილებებში კავშირის სკოლები. მეცადინეობა სწარმოებს ყოველ ორშაბათობით. სკოლაში სამეცადინო პროგრამათ არის მიღებული კავშირის მოძრაობის ისტორია მისი პროგრამა და წესდება. აღსანიშნავია ის, რომ ძლიერ ცუდ პირობებში უხდებოდა მას მუშაობა ვინაიდან არ ქონდა ოთახი. (თითო კლასში იყო 25 კაცი) ამაზე მიღებულია ზომები.

ლენინის კუთხეებში მუშაობა.

თვითეული ასეულს და განყოფილებას აქვს თავის ლენინის კუთხე.

(გარდა მე2-რე ასეულისა. კუთხე ამ ორ დღეში გაიხსნება.)

სულ არის სკოლაში ექვსი ლენინის კუთხე. ყოველ სამშაბათობით კუთხეებში მიდის საუბარი სხვა და სხვა საკითხებზე. კუთხეები მოწყობილია სხვა და სხვა შინაარსის სურათებით. არის სათამაშოები.

როგორი კავშირი გვაქვს სხვა ნაწილებთან.

არც კავშირში ჩამოურჩება ჩვენი სკოლა არავის. ყოველ კვირას დავდივართ 21 პარტსკოლაში, მუშფაკში, პირველ და ცხენოსან ლეგიონში. გვაქვს მათთან საუბარი, ვესწრებით მათი გამართულ საღამოებს, აგრეთვე ისინიც მოდიან ჩვენ სკოლაში და ამით ჩვენ ვეცნობით ერთმანეთს და უახლოვდებით მათ ცხოვრებას.

სამხკორი: **ირ. მაისაია.**

საქმის ზედმიწევნით მცოდნე და ავადმყოფ წითელ არმიელების იშვიათი მოალერსე, აი ვინ არის ამხ. ქდანოვი. მაშ რად დასჭირდა ამხ. კოსტავას ასეთი ცილის წამება? საქმე შემდეგში იყო:

ამხ. კოსტავა იწვა ქირურგიულ განყოფილებაში. უფროსი ექიმის განკარგულებით ის უნდა გადასულიყო ტერაპიულ განყოფილებაში.

ამხ. ქდანოვი ქირურგიულ განყოფილებას ზედამხედველობს და როდესაც მან მოსთხოვა ამხ. კოსტავასგადასულიყო, ექიმის განკარგულების თანახმად, ის აყვირდა „მე არსად არ გადავალ. აქ უნდა ვიქნე, მე გაჩვენებთ თქვენ ვინცა ვარო“.

ამხ. კოსტავას წერილი ამ უბრალო და უაზრო უკმაყოფილების ნიადაგზე იყო გამოწვეული, რაც არ ეპატიება ხსენებულ ავადმყოფს. ჯერ ერთი ასეთი უსირცხვილოდ პატიოსანი ადამიანის გალანძღვა და შემდეგ გაზეთის შეცდომაში შეყვანა.

მთელი ჩვენი არსებით სასტიკ გულისწყრომას უცხადებთ ამხ. ასეთი უსირცხვილო საქციელისათვის.

წერილს ხელს აწერენ 15 ავადმყოფი წით. არმიელები.

ამხ. დ. კოსტავას ცნობის შესახებ სპეციალურად დანიშნულმა კომისიამ გამოარკვია, რომ კოსტავას ცნობები ქდანოვის შესახებ სიმართლეს არ შეეფერება.

ყველა საბუთები ამის შესახებ რედაქციამ უკვე მიიღო.

რედ.

პარტიული ცხოვრება

1-ლ ლეგიონის უმწყობრო გუნდი.

4 დეკემბერს 1-ლ ქართულ მსროლელ ლეგიონის უმწყობრო გუნდში შესდგა კომუჯრედის მორიგი კრება.—

დღის წესრიგში იყო ზემოხსენებული უჯრედის პასუხისმგებელ მდივნის მოხსენება—ანგარიში და მისი გადარჩევა.

ყოფილმა მდივანმა რუსიეშვილმა გააცნო კრებას უჯრედის მთელი მუშაობა ამ ექვსი თუ შვიდი თვის განმავლობაში, რომელიც კრებამ დამაკმაყოფილებლად სცნო.

შემდეგ კრება გადავიდა პასუხისმგებელ მდივნის არჩევნებზე. წამოყენებული იქნა კანდიდატებათ მრავალი ამხანაგები. მათ შორის ამორჩეული იქნა მდივნათ ამხ. შავლაძე, ერთად-ერთი ენერგიული მომუშავე ჩვენს რიგებში.—

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ხსენებულ კომ-უჯრედში ახალ კომ. კავშირის ცალკე უჯრედის დაარსება, რომელსაც დიდის სიხარულით ეგებებიან ახ. კომ. კავ. წევრები და კანდიდატები.

ამ უკანასკნელის პასუხისმგებელ ორგანიზატორად იქმნა ამორჩეული ამხ. მარგოშვილი.

იმედია ამხ. პასუხისმგებელი ორგანიზატორი არ გაამტყუნებს ჩვენს იმედებს და მისი ენერგიული მუშაობით გადავლახავთ ყველა დაბრკოლებებს.

ახ. პარტკორი მ. ოდიშარია.

მეცნიერება და ტეხნიკა.

ყინულოვან პერიოდის სურათებიანი გალერია.

ამბობენ, დედამიწის ისტორიაში იყო ისეთი დრო, როდესაც ეხლანდელი ევროპა, სახელდობრ: გერმანიის, საფრანგეთის, ინგლისის ჩრდილოეთის ნაწილები და სხვა, დაფარული იყო ყინულით. ამ დროინდელი ცხოვრების შესახებ დარჩენილია დამახასიათებელი ნიშნები, რომლებსაც უკავშირებენ ამ პერიოდს.

ამერიკის გაზეთებში ამას წინად გამოქვეყნდა ერთი საინტერესო ცნობა, რომელიც იუწყება ძველი—ყინულოვანი პერიოდის არქეოლოგიურ აღმოჩენის შესახებ.

საფრანგეთსა და ესპანიას ყოფს ერთმანეთისაგან და მაღალი მთაგრეხილი, რომელსაც უწოდებენ პირენეიის მთაგრეხილს. ამ მთების ერთ-ერთ მიუვალ ხეობაში, სორბონის უნივერსიტეტის ერთმა სტუდენტმა, გვარად კასტერემ აღმოაჩინა ყინულოვანი პერიოდის დროის სურათებიანი გალერეია.

პირველად კასტერეს მოუხდა ერთი ვერსის გავლა კლდეებში, გვირაბში, გამავალ მდინარის ნაპირზე, შემდეგ 2 წუთის განმავლობაში წყალში ჩაყვინთით მოგზაურობა ორი წუთის ცურვის შემდეგ კასტერე აღმოჩნდა მიწის ქვეშ მოთავსებულ დარბაზში.

დარბაზის სიგრძე უდრის 100 მეტრს, ხოლო სიმაღლე კი 7 მეტრს. იქვე აღმოჩნდა კიდევ მეორე დარბაზი 150 მეტრის სიგრძით.

დარბაზის კედლებზე აღმოჩნდა 50-მდე ყინულოვან პერიოდის დროის ირმების გამოხატულება, რომლებიც სცხოვრობდენ იმ ხანებში პირენეიის მთებში. ყველა სურათებს კედლებზე ჩამომავალ კირნარი წყლის წვეთების გამო გადაჰკვრიათ მინისებური ნალექი, რაც იმას მოწმობს, რომ ნაწარმოები ძველი ხელოვნების ნაშთებს ეკუთვნიან.

აქვე აღმოჩენილი იქნა თიხის ქანდაკებების მთელი რიგი, მათ შორის დათვის მოზრდილი ქანდაკება. ყველა ცხოველების ქანდაკებები გარდა ცხენებისა არიან დაჩხვლეტილი.

ეს იმის მომასწავებელია, რომ მაშინდელი მონადირეთა გვარის ჯადოსნები, ცხოველების ამ გამოსახულებებზე ასრულებდენ თავის თილისმურ საქმიანობას იმის შესახებ, თუ როგორი მომავალი ქონდა მათ გვარს.

ეს აღმოჩენა მეტად საი ტერესო არის და მრავა რამეს გამოარკვევს ყინულ პერიოდის დროის ადამიან ცხოვრებიდან.

ჩვენი სოფლის ცხოვრება

მევენახეობის აღსადგენათ.

თელავის აღმასკომმა შეადგინა მევენახეობის კარგ დონეზე დასაყენებლათ 5 წლიანი გეგმა. გეგმით გათვალისწინებულია მაზრის 7 საგრონ მიო რაიონათ დაყოფა და ყ ველ რაიონში საცდელი მ დვრების მოწყობა.

ბრძოლა ფილოქსერასთან.

თელავის აღმასკომის საგრონომიო განყოფილებამ შეადგინა დიდი მოხსენება მთავრობაში წარსადგენათ ვაზ ავათმყოფობასთან (ფილოქს რასთან) ბრძოლის შესახებ.

თეატრი სენაკში.

სენაკის აღმასკომმა თავზე იღო ადგილობრივ თეატრის მოწყობის საქმე და მასთან დაკავშირებული ყოველგვარ ხარჯები.

ტყის დამუშავება.

მიწ. მოქმ. კომისარიატმა გადასცა ლანჩხუთის სატყეო ტრესტის ქარხანას 100 დეს ტინა ტყე დასამუშავებლათ.

მესაქონლეობა კახეთში.

თელავის აღმასკომმა შეადგინა ხუთ წლიანი გეგმა მაზრაში მესაქონლეობის გასავრცელებლათ მოაწყოს საგრილობელი პუნქტები, საქონლ ამბულატორიები და სასაკლ ოები.

ღვინის მოსავალი.

კარდანახის სახალხო მამულში (კახეთშია) წელს მოვიდა 20 ათას ვედრომდე ღვინო, რაიც გაეგზავნა სახალხო მ მულების ტრესტს ტფილისშ

თავისუფალ წუთებში

ნუ გაუშვებ ხელიდან შემთხვევას, ყველაფერს დააკვირდი, შესწავლე და შეიძინე ცოდნა.

ამხ. წითელ არმიელო, მიიხედ-მოიხედე ირგვლივ, ყოველი ფეხის გადადგმაზე შენ საქმე გაქვს ბუნების ძალებთან, მათ კანონებთან. შენი საქმეა გაიგო ეს კანონები, შეისწავლო ისინი და ბუნებას შენს გემოზე მოიხმარ; ამისთვის არ დაგვჭირდება არც მღვდლები და არც ღმერთი.

შენ არ შეგიძლია ამ ჟამად სპეციალურად მოჰკიდო ხელი მეცნიერებას, მაგრამ აიღე ის ნაწილობრივად, ნუ დაიზარებ. ისინი ყოველ ფეხის გადადგმაზე გახვდებიან წინ.

ერთხელ ერთი ნაწილი გაყვანილი იყო სამეცადინოთ. მიზანში სროლას ასწავლიდენ ამხანაგებს.

— აი გაისროლა ერთმა ტყვია—არ მოხვდა მიზანს, ასცდა.

— ეძებე შენი გასროლილი ტყვია ცაში. ის ეხლა იქა ზის.

— ენამახვილობს მეორე ამხანაგი.

იცინიან. მართლა, სერიოზულად რომ ავიღოთ, შესაძლებელია თუ არა ეს? დასაშვებია თუ არა ტყვია ცას მოხვდეს და იქ ვინმეს რაიმე დაუშავდეს?

ვნახოთ.

აქ სამი საკითხია. პირველი, რას წარმოადგენს ცა? არის თუ არა იქ სადმე საზღვარი, ბოლო, რომ მართლაც რაიმეს მოხვდეს ტყვია? მეორე, შეუძლია თუ არა ტყვიას ისე შორს წასვლა? და მესამე, შეიძლება დამზადებული იქნეს ასეთი თოფი?

კაცობრიობა სწავლობს ბუნებას, მის მოვლენებს და ამ მოვლენების კანონებს. ბევრი ასეთი კანონები უკვე აღმოჩენილი იქნა და სათანადოთ გამოყენებულიც.

მაგალითად ჰაერის ძალების შესწავლამ გამოიწვია ჰაეროპლანების გამოგონება. ზოგიერთი კანონები დანამდვილებით არა აქვთ შესწავლილი, მაგრამ ფიქრობენ, რომ ეს ასე არისო. ასეთ აზრებს, რომლებიც ემყარებიან მეცნიერულ დებულებებს უწოდებენ **ჰიპოთეზებს**. ასე ფიქრობდენ ამ უკანასკნელ ხანებამდე, რომ მაგარი ხელშესახები ცა არ არსებობსო.

მრავალ ზეციურ სხეულებამდე მანძილი (ვარსკვლავები, პლანეტები) ჩვენგან, როგორც მეცნიერები ამბობენ უდრის მრავალ ათეულ მილიონ ვერსს.

ჰაერი, რაც უფრო დაცილდებით დედამიწას მით უფრო თხელდება, შორს, მიუწვდომელ და უსაზღვრო სიმაღლეზე ჰაერი არ არსებობს.

ამას წინად მეცნიერებმა შეისწავლეს ეგრედ წოდებული ჩრდილოეთის ბრწყინვალების (северное сияние) ბუნება და იმ დასკვნამდე მივიდენ, რომ ცა მართლა მაგარი ყოფილა ზევით უსაზღვრო სიმაღლეზე. იქ სივრცე მოცულია გაყინული აზოტის (ჰაერის შემადგენელი ნაწილია) ნაწილაკებით. ცის ფერი სწორედ ამ ნაწილაკების ფერით არის გამოწვეული.

მაშასადამე რომ იყოს ისეთი თოფები, რომ მათი საშვალებით შეიძლებოდეს ტყვიის გასროლა ძლიერ შორს, თურმე შესაძლებელი ყოფილა ცას ტყვია მოარტყას კაცმა.

მაგრამ ჩვენ ასე ადვილად არ შეგვიძლია კიდევ სროლა.

რატომ? იმიტომ, რომ ტყვია პირველად ყოვლისა სხეულია, რომელსაც აქვს წონა—სიმძიმე და ემორჩილება საერთო მიზიდულობის კანონს.

დედამიწა იზიდავს თითეულ სხეულს და არ უშვებს მას. ტყვია, რომელსაც გავისვრით ცაში, ჯერ სძლევს მიწასთან მიზიდულობის კანონს, რადგანაც ამაში იძულა თოფის წამალმა, შემდეგ კი ისევ მიზიდულობის კანონის ძალით ეშვება ძირს.

მეცნიერები ამტკიცებენ, რომ თუ სხეული ძალიან მაღლა იქნა გადასროლილი ის დაიკარგება, რადგანაც იქ მიწის მიზიდულობის ძალა კი აღარ მოქმედობს, არამედ სხვა რომელიმე პლანეტის, მაგალითად მთვარის და ის სხეული იმაზე დაეშვებაო. მაშასადამე შეუძლებელი ყოფილა ისეთი თოფის გამოგონება, რომელიც ცის სიმაგრემდე გაისვრის ტყვიას. ჯერ-ჯერობით ეს ასეა, მაგრამ არ მოხდება არასოდესო, ამის თქმა ძნელია.

და აი რატომ. გავიხსენოთ, რომ პირველად თოფი, როდესაც გამოიგონეს ალბად ის ასი ნაბიჯის მანძილზე მეტს ვერ გაისროდა ტყვიას; ასე იქნებოდა ზარბაზნებიც. ამ ჟამად დამტკიცებულია, რომ თუ კი ისეთი ზარბაზნის ლულა დაამზადეს, რომ გაუძლო თოფის წამლით გამოწვეულ აირების სიძლიერეს და არ გასკდა, შეიძლება 1000 ვერსზე იქნეს გასროლილი ყუმბარა.

ამ ზაფხულში ამერიკაში გაისროლეს მთვარეზე,მაშხალა. შედეგები ჯერ არ არის მიღებული. საუკუნოების განმავლობაში ადამიანები სწავლობდენ ჰაერს და ცას. ამ ჟამად ზოგიერთმა გამოგონებამ წინ წასწია საქმე ამ მხრივ და ადამიანი ჰაეროპლანის საშვალებით 12 ვერსის სიმაღლეზე ადის ჰაერში. მაშასადამე შესაძლებელია ახალი მიხწევებიც ამ მიმართულებით.

საქმე მხოლოდ მეცნიერულ შრომაში, ენერგიის გამოჩენაში, სურვილებში და დროში. დრო წინ უძევს ადამიანს,

ჩ—ა.

ახალი ამბები.

— **შეჯიბრება--კონკურსი.** საქ. ქიმოხსაზოს პრეზიდიუმმა დაადგინა გამოაცხადოს კონკურსი ქიმოხსაზოსთვის პლაკატების და გულზე სატარებელ ნიშნების დამზადებისათვის.

— **თეატრის დათმობა.** სენაკის აღმასკომმა დაუთმო ადგილობრივ მდგარ ჯარის ნაწილებს თეატრი კვირაში ერთხელ.

— **წითელი არმიის და ფლოტის სახლმა** გადასწყვიტა ჯარის ნაწილებში წარმოებულ ქიმიის პროპაგანდის გასაძლიერებლათ მოაწყოს ლაბორატორიები და ქიმიის შემსწავლელი წრეები.

— **წევრების აღრიცხვა.** საქ. ქიმოხსაზოს პრეზიდიუმის დადგენილებით გადაწყვეტილია საზოგადოების წევრთა აღრიცხვა საანკეტო სისტემით.

— **საზღვარ გარეთ შესყიდვა.** ტრამვაის დირექციას ნება დართეს შეისყიდოს საზღვარ გარეთ ტრამვაისათვის საჭირო მასალები, რომლებიც არ იშოვნება საბჭოთა კავშირში.

— **ზაჰეზის სამუშაოები.** ზემო-ავჭალის ჰიდრო ელსადგურის ასაშენებელ სამუშაოთაგან უკვე შესრულებულია 4.844.000 მანეთის და დარჩა შესასრულებლათ 3.856.000 მანეთის სამუშაოები.

— **ტფილისის ვაჭრობა.** ქალ. აღმასკომმა გადასწყვიტა გახსნას საკუთარი მაღაზიე ფართლეულობის, შაქრის, ფქვ ლის და პარფიუმერიის.

— **საბჭოთა ყრილობ მოწვევის წინ.** საქართ. ცენტ ალმ. კომიტეტმა მიანდო მთა ვარ საამრჩევლო კომისიას გ მოიმუშაოს მესამე საბჭო ყრილობისათვის ხარჯთაღრ ცხვა.

— **დახურული სკოლებ** საქ. ცენტ. აღმასკომმა მიანდ გან. კომისარიატს გახსნას აქნ მდე არსებული ყველა დახ რული სასწავლებლები.

— **საბიბლიოთეკო კუ სები**, რომელიც გახსნილი იყ პოლიტგანათლების მთავა მმართველობის მიერ დაასრ ლა 50 კაცმა.

— **ქინა-ქინის მიღება.** ჯან სახ. კომისარიატმა მიიღო მ სკოვიდან 20 კილო ქინა-ქი ციებ-ცხელებიან ადგილებ მცხოვრებთათვის დასარიგე ლათ.

— **ლატარიის მოწყობ** სოც. უზრ. კომისარიატმა შ ამდგომლობა აღძრა მთავრ ბის წინაშე გლეხთა სასახლ ასაშენებლად ლატარიის მ წყობის ნებართვის შესახებ.

— **ვენერიულ ავადმყოფ ბასთან ბრძოლა.** მუშათა მ დიცინის სამმართველომ გად სწყვიტა დაგზავნოს პროვი ციებში წამლები ვენერიუ ავათმყოფობასთან საბრძო ველათ.

პასუხისმგებელი
რედაქტორი ლ. ჩანტლ

ნ. დ. ს. ც

სამხედრო სტამბა ქეცხოველის ქ.3.

ტირაჟი 1500